დანართი N2

წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

I ეტაპი

განაცხადების მიღების ბოლო ვადა 2025 წლის 1 სექტემბერი

- *განაცხადი;*
- *უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;*
- *ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);*
- *ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არქონის შესახებ;*
- *საბანკო რეკვიზიტები;*
- *სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, საგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.*

II ეტაპი

დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადა 2026 წლის 2 მარტი

- *ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან, შესაბამისი კალენდარული წლების (2024 და 2025 წწ.) განმავლობაში ექსპორტირებული ღვინის (ლიტრი) მოცულობის შესახებ;*

  საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მონიტორინგგავლილი სავალდებულო აუდიტის უფლებამოსილების მქონე სავალდებულო აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ, ხოლო ბენეფიციარი - მცირე ზომის მარნის შემთხვევაში, არასავალდებულო აუდიტის უფლებამოსილების მქონე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ***მიერ გაცემული ანგარიში*** *შესაბამის საანგარიშო პერიოდებში (01.10.2023-30.09.2024 წწ. და 01.10.2024-30.09.2025 წწ.) გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობების შესახებ, რომელიც მომზადებულია სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;*
  .
- *მცირე ზომის მარნის შემთხვევაში პროგრამის 5[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მისაღებად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.*

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს წინა კალენდარული წლის და საანგარიშო პერიოდში არ აქვს გაწეული მარკეტინგული ხარჯი ან/და არ განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად, დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება არა უგვიანეს გასული 3 წლის განმავლობაში უკანასკნელად გაწეული მარკეტინგული ხარჯი და ექსპორტირებული ღვინის მოცულობა.